აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №68, 14.12.2010) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. პირს შეიძლება საკუთრებაში გადაეცეს მის მიერ დაზიანებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ან/და ხელისუფლების ორგანოს/საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე რიცხული მოძრავი ნივთი, ამ ნივთის დაზიანებამდე არსებული საბაზრო ღირებულების (რომელიც არ შეიძლება იყოს საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები) არანაკლები ღირებულების ნივთის მიღების სანაცვლოდ. ხელისუფლების ორგანო/საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტისა და ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე პირს საკუთრებაში გადასცეს მოძრავი ნივთი და სანაცვლოდ მიიღოს და ბალანსზე აიყვანოს შესაბამისი ნივთი.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**

ბათუმი,

21 აპრილი 2022 წ.

N51-IIს